- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. სტანდარტები და ხარისხი**

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

**3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;

3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

3.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

**4. ტექნიკური პირობები (სამუშაო მოცულობების ჩამონათვალი)**

№	სამუშაოთა ან დანახარჯთა დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა
1	2	3	4
<b>I. მოსამზადებელი სამუშაოები</b>			
1	არსებული დაზიანებული მონოლითური ბეტონის პარაპეტის დემონტაჟი, დატვირთვა თვითმცლევლებზე და ტრანსპორტირება ნაყარში	მ <sup>3</sup>	20
2	არსებული ასფალტობეტონის საფარის დაშლა ცივი ფრეზირების მეთოდით, დოლის სიგანით 2000 მმ, საშუალო სისქით 14 სმ, ზიდვა დროებით ბაზაში საფუძველში შემდგომი გამოყენებისათვის	მ <sup>2</sup>	78580

<b>II. მიწის ვაკისის მოწყობა</b>			
3	(33 გ) გრუნტის დამუშავება 1 მ <sup>3</sup> ექსკავატორით, დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გპ	4440
4	(33 გ) გრუნტის დამუშავება ბუღლოზურით 30 მ-ზე გადაადგილებით, დატვირთვით ექსკავატორით თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გპ	2960
5	პკ53+35–პკ53+55 ჩარეცხილი მონაკვეთის შევსება ხრეშ. გრუნტით (6 <sup>ბ</sup> )	გპ	570
6	გრუნტის (33 <sup>ბ</sup> ) დამუშავება კიუვეტში 0,5 მ <sup>3</sup> ექსკავატორით, დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გპ	2390
7	გრუნტის (33 <sup>ბ</sup> ) დამუშავება კიუვეტში ხელით დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გპ	600
8	მიწის ვაკისის მოშანდაკება	გ <sup>2</sup>	4400
9	ჭრილის ფერდების მოშანდაკება	გ <sup>2</sup>	15400
<b>III. გზის სამოსის მოწყობა</b>			
<b>ტიპი I</b>			
10	შემასწორებელი ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით (0-40 მმ)	გპ	8242
11	საფუძვლის მოწყობა ფრაქციულ ღორღით 0-40 მმ (სისქით 6 სმ) და ასფალტბეტონის გრანულიატით (სისქით 11 სმ)	გ <sup>2</sup>	83822
12	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	53,03
13	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბ ცხელი ნარევით, სისქით 6 სმ	გ <sup>2</sup>	75762
14	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	22,73
15	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ ცხელი ნარევით, სისქით 4 სმ	გ <sup>2</sup>	75762
16	მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	გპ	4441
<b>ტიპი II</b>			
17	ქვასაგები ფენა - ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის მოწყობა, სისქით 25 სმ	გპ	1558
18	საფუძვლის მოწყობა ფრაქციულ ღორღით 0-40 მმ (სისქით 6 სმ) და ასფალტბეტონის გრანულიატით (სისქით 11 სმ)	გ <sup>2</sup>	3477
19	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	2,20
20	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბ ცხელი ნარევით, სისქით 6 სმ	გ <sup>2</sup>	3142
21	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	0,94
22	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ ცხელი ნარევით, სისქით 4 სმ	გ <sup>2</sup>	3142
23	მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	გპ	264
<b>IV. ხელოვნური ნაგებობები</b>			
<b>ა) არსებულ მიწებზე ჩასატარებელი სამუშაოები</b>			
24	სათავისების გაწმენდა ხელით სველი გრუნტისაგან დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გპ	7,50
25	მიწის გაწმენდა დანალექი გრუნტისაგან ხელით, დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გპ	22,50

26	გამოსასვლელი სათავისიდან ზღვის მიმართულებით თხრილის მოწყობა	გ.მ.	50
27	გრუნტის დამუშავება 0,5 მ <sup>3</sup> ექსკავატორით, დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	67
28	გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	7
	<b>ბ) ლითონის მრგვალი მილების მოწყობა დ=1 მ პკ13+30, პკ79+08 და პკ88+31</b>		
29	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით 0,5 მ <sup>3</sup> გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	218
30	გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	21
31	ქვიშ ა-ხრეშოვანი გრუნტის ჩაყრა ხელით და ფენებად დატკეპნა	მ <sup>3</sup>	145
32	დამუშავებული გრუნტის დატვირთვა თვითმცლელელებზე ექსკავატორით და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	239
33	ქვიშა-ხრეშოვანი მოსამზადებელი ფენა მილების ქვეშ	მ <sup>3</sup>	3
34	მილის ჩაწყობა ტხრილში დ =1 მ	გ.მ.	45
35	მილის შეგლესვა ბიტუმით 2 ჯერ წასმით	მ <sup>2</sup>	3
36	მიმღები ჭის მოწყობა მონოლითური ბეტონით B-20 F-100	მ <sup>3</sup>	54
37	ქვიშა-ხრეშოვანი მოსამზადებელი შრე	მ <sup>3</sup>	3,30
38	კედლების უკანა მხარეს შეგლესვა ბიტუმით 2 ჯერ წასმით	მ <sup>2</sup>	84
39	გამოსასვლელი სათავისის პორტალური კედლის მონოლითური ბეტონი – ფუნდამენტი, ტანი და გამოსასვლელი სათავისის ღარის მონოლითური ბეტონი – კედლები, ძირი, კბილი	მ <sup>3</sup>	12,90
40	კედლების უკანა მხარეს შეგლესვა ბიტუმით 2 ჯერ წასმით	მ <sup>2</sup>	24
41	გამოსასვლელი სათავისის ქვიშა-ხრეშოვანი მოსამზადებელი შრე	მ <sup>3</sup>	1,80
42	რისბერმის მოწყობა	მ <sup>3</sup>	18
43	შიდასაამშენებლო ტრანსპორტის ღირებულება 1 კმ-ზე		
	– ქვიშა-ხრეშისათვის	ტ	8,98
	– მონოლითური ბეტონისათვის	ტ	33,05
	<b>გ) ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები პკ12+15.9 და პკ100+20.5</b>		
44	არსებული ტროტუარების მონგრევა პნევმატური ჩაქუნებით, დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	13
45	არსებული მოაჯირების დემონტაჟი, დატვირთვა თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	ტ	2
46	სადეფორმაციო ნაკერების მოწყობა ყველა თანმხლები სამუშაოს გათვალისწინებით	გ.მ.	26
47	სავალი ნაწილის ჰიდროიზოლაცია ბეტონის მოსამზადებელი და არმირებული დამცავი ბეტონის ფენის გათვალისწინებით	მ <sup>2</sup>	430
48	სავალი ნაწილის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ ნარევით, სისქით 7 სმ	მ <sup>2</sup>	417,50
49	ტროტუარის მოწყობა ანაკრები რ/ბ ბლოკებით	მ <sup>3</sup>	17,44
50	ტროტუარის ლითონის მოაჯირის მოწყობა		
	– კუთხოვანებით	ტ	0,411

	– დგარები არმატურის ღერებით	ტ	1,05
	– ჰორიზონტალური ელემენტური მილები	ტ	0,297
51	ყრილის ჩარეცხილი ადგილის შევსება ქვით	მ <sup>3</sup>	3
	<b>დ) ლითონის მრგვალი მილის მოწყობა კიუვეტის წყლის გასატარებლად დ=300 მმ</b>		
52	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით 0,5 მ <sup>3</sup> გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	92
53	გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	11
54	ქვიშა-ხრეშოვანი მოსამზადებელი ფენა მილის ქვეშ	მ <sup>3</sup>	3,70
55	ლითონის მილის ჩაწყობა თხრილში	გ.მ.	59
56	მილის შეგლესვა ბიტუმით 2 ჯერ წასმით	მ <sup>2</sup>	59
57	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის ჩაყრა ხელით და ფენებად დატკეპნა	მ <sup>3</sup>	37
58	დამუშავებული გრუნტის დატვირთვა თვითმცლელელებზე ექსკავატორით და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	103
	<b>ე) კკ26+78 ზედა საყრდენი კედლის მოწყობა</b>		
59	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით 0,5 მ <sup>3</sup> გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	127
60	გრუნტის დამუშავება ხელით გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	13
61	ქვიშა-ხრეშოვანი მოსამზადებელი შრე	მ <sup>3</sup>	1,50
62	კედლის ფუნდამენტის მოწყობა მონოლითური ბეტონი B-20 F-100	მ <sup>3</sup>	15
63	კედლის ტანის მოწყობა მონოლითური ბეტონი B-20 F-100	მ <sup>3</sup>	14
64	კედლის უკანა მხარეს შეგლესვა ბიტუმით 2 ჯერ წასმით	მ <sup>2</sup>	30
65	დამუშავებული გრუნტის უკუ ჩაყრა ექსკავატორით, მოსწორებით და ფენებად დატკეპნით	მ <sup>3</sup>	60
66	ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	80
67	შიდასაამშენებლო ტრანსპორტის ღირებულება 1 კმ-ზე		
	– ქვიშა-ხრეშისათვის	ტ	2,64
	– მონოლითური ბეტონისათვის	ტ	36,72
	<b>V. მიერთებების შეკეთება</b>		
68	საფარის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით ნამგლისებული პროფილით, სისქით 20 სმ	მ <sup>2</sup>	91
69	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	0,41
70	საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ ცხელი ნარევით, სისქით 5 სმ	მ <sup>2</sup>	1365
71	მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ <sup>3</sup>	20
	<b>VI. ეზოში შესასვლელების შეკეთება</b>		
72	საფუძვლის მოწყობა ფრაქციულ ღორღით (0-40 მმ) სისქით 10 სმ და ასფალტბეტონის გრანულიატით (სისქით 11 სმ)	მ <sup>2</sup>	270
73	საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბ ცხელი ნარევით, სისქით 5 სმ	მ <sup>2</sup>	270

74	საფარის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით ნამგლისებული პროფილით, სისქით 20 სმ	მ <sup>2</sup>	1460
<b>VII. ტროტუარების და მოაჯირის მოწყობა</b>			
75	არსებული ბაზალტის ბორდიურების დემონტაჟი სანგრევი ჩაქუნებით, დატვირთვა თვითმცლელზე და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	გ.მ.	500
76	ბეტონის საფუძვლის დანგრევა და ტრანსპორტირება ნაყარში 10 კმ	მ <sup>3</sup>	29
77	გრუნტის (33 <sup>ბ</sup> ) დამუშავება ხელით, დატვირთვა და გატანა ნაყარში 10კმ	მ <sup>3</sup>	30
78	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა	მ <sup>3</sup>	15
79	ბაზალტის ბორდიურის (30x15x100) მოწყ. ბეტონის საფუძ-ზე 22,5 200 ჰგ	გ.მ.	500
80	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა უკანა ქვისათვის	მ <sup>3</sup>	18
81	მონოლითური ბეტონის მოწყობა მოაჯირისათვის	მ <sup>3</sup>	60
82	შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ <sup>3</sup>	30
83	საფუძვლის მოწყობა ქვიშოვანი მასალით, სისქით 10 სმ	მ <sup>3</sup>	82
84	საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით, სისქით 3 სმ	მ <sup>2</sup>	675
85	ლითონის მოაჯირის მოწყობა 500 გ.მ.		
	– დგარების მოწყობა ლითონის ოთხკუთხა მილით 50x50 მმ	ტ	0,713
	– სახელურების მოწყობა ლითონის ოთხკუთხა მილით 60x40 მმ	ტ	1,570
	– ლითონის ოთხკუთხა მილით მოაჯირის შევსება 50x40 მმ	ტ	2,755
86	ლითონის მოაჯირის შეღებვა	მ <sup>2</sup>	330

## 5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1 სამუშაოების დასრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 15 სექტემბრამდე.

5.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, თბილისის ზღვის შემოვლითი გზა.

## 6. დაზღვევა

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიწოდების და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა).

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

- 7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:  
ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელ(ებ)ი.
- 7.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## **8. ანგარიშსწორება და ვალუტა**

- 8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.
- 8.2 ანგარიშსწორება მოხდება 2011 წლის თბილისის ბიუჯეტით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 8.3 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება 20%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე ( საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას).

## **9. ფასები**

- 9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
- 9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 9.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

- 10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.



## 11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

## 12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 14. მხარეთა უფლება-მოვალეობები

14.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

14.2 შემსყიდველი ვალდებულია:

14.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

14.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

14.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

14.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

14.3.2 განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

- 14.3.3 ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
- 14.3.4 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
- 14.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 14.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 14.4.2 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;
- 14.4.3 სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწვევის გარეშე;
- 14.4.4 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.
- 14.4.5 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
- 14.4.6 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
- 14.4.7 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.
- 14.4.8. სამუშაოების დასრულების შემდეგ **1 (ერთი) წლის** განმავლობაში რაიმე წუხის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუხი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;
- 14.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- 14.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

## 15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 15.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების **0,1%**-ის ოდენობით;
- 15.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 15.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის **0,1%**-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

16.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

- ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **1%-ს**;
- დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

- ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
- ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 მე-16 მუხლის 16.1 და 16.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 17. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

17.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

17.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

17.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.

17.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

17.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## 18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუღვევობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 21. ხელშეკრულების ენა

21. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტის საფუძვლად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 22. შეტყობინება

22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1. უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

23.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

## 24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია -----  
--

## 25. სხვა პირობები

25.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

25.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

25.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

25.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

25.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

-----

-----

#### 4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა #7, მე-15 სართული. საკონტაქტო პირი: მარიამ ცენტერაძე. ტელ: +99532 378572

**აფიდავიტი**

**სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

\* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

\* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანო გარანტია ტენდერზე დაფიქსირებული საბოლოო ფასის 5%-ის ოდენობით.

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.



ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)

ვის: \_\_\_\_\_  
(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_  
(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ \_\_\_\_\_ ტენდერში წარდგენილი თავისი  
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია \_\_\_\_\_  
გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(თარიღი)

(მისამართი)